სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი
ზურაბ ბუცხრიკიძე

„15"----------11----------" *2013 წელი*

ეგზ. № 2

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ
2011-2012 წლებში განხორციელებული სოციალური პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №40/00

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ძირითადი მიზანი **3**

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა **3**

აუდიტორის პასუხისმგებლობა **3**

ზოგადი მიმოხილვა **4**

პირობითი მოსაზრების საფუძვლები **7**

მოსახლეობის სამედიცინო დახმარება 7

იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარება 8

უფასო სასადილო 9

ერთჯერადი ფულადი დახმარება 12

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება 13

სარიტუალო ხარჯები 14

ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება 15

სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება 15

პირობითი მოსაზრება **16**

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი **17**

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: **17**

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ დასკვნის გაცემა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- *მართლზომიერი ხარჯვა* - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის

ეთიკური მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც თავის მხრივ გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ზოგადი მიმოხილვა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 25.4 ათას კაცს, ფართობი - 1174.5 კმ^2-ს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 20 ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც მოიცავს 82 სოფელს, 1 დაბასა და ერთ ქალაქს[1].

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2011-2012 წლებში სოციალურ დახმარებებზე დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 833.2 ათასი ლარი[2], ხოლო გაწეული საკასო ხარჯია - 796.9 ათასი ლარი (2011 წელი - 241.1 ათასი ლარი, მათ შორის, დელეგირებული 67.0 ათასი ლარი, 2012 წელი - 555.8 ათასი ლარი, მათ შორის, დელეგირებული 61.7 ათასი ლარი). აუთვისებელი თანხა -

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით.
[2] 2011 წელი - 262.3 ათასი ლარი; 2012 წელი - 570.9 ათასი ლარი.

36.3 ათასი ლარი გამოყენებულ იქნა შემდეგ წლებში, შესაბამისი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2011-2012 წწ. გაცემული სოციალური დახმარებები



წარმოდგენილი დიაგრამიდან ჩანს, რომ 2012 წელს სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯი 2.3-ჯერ აღემატება 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2011-2012 წლებში სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯები მოიცავს ბენეფიციართა სამედიცინო დახმარებებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ უზრუნველყოფას, ბენეფიციართა უფასო სასადილოთი მომსახურებას, ერთჯერად ფულად დახმარებებს, მრავალშვილიან ოჯახთა დახმარებებს, სარიტუალო ხარჯებს[3], ომში დაღუპულთა ოჯახის ფულად

[3] ომის ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სოციალურად დაუცველ მოსახლეთა დაკრძალვის ხარჯები

დახმარებებსა და სტიქიით დაზარალებულ მოსახლეთა სოციალურ უზრუნველყოფას.

2011-2012 წლებში სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯები



პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

2011-2012 წლებში თანადაფინანსება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებისათვის გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით დამტკიცებული სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით. აღნიშნული პროგრამის მიხედვით კონკრეტულად არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ის კონტიგენტი, რომელიც ექვემდებარება მიმდინარე წლის სამედიცინო მომსახურებას, თანადაფინანსების ზღვრულ ლიმიტებთან ერთად.

პროგრამის თანახმად, 2011 წელს ბენეფიციართა სტაციონარული უზრუნველყოფისათვის თანადაფინანსება ხდებოდა მომსახურების თანხის 50%-ის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს 400 ლარისა, ონკოლოგიური კვლევებისთვის - ერთჯერადად 50 ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისთვის - ერთჯერადად 150 ლარი. სამედიცინო მომსახურების ფაქტობრივი ხარჯი დგინდებოდა სამკურნალო დაწესებულებების მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, რომელსაც პაციენტი წარუდგენდა მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს. მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თანხა უნაზღაურდებოდა შესაბამის დაწესებულებას.

გადაუდებელი აუცილებლობისას, 1000 ლარამდე სამედიცინო მომსახურების ფულადი ფორმით დახმარებაზე გადაწყვეტილებას იღებდა გამგებელი, 1000 ლარს ზემოთ - საკრებულოს თავმჯდომარე. 1000 ლარამდე დახმარებაზე განცხადებების შესწავლას ახორციელებდა გამგეობის სოციალური სამსახური და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, 1000 ლარს ზემოთ მოთხოვნის მქონე განცხადებებზე - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია.

გამოვლენილი გარემოება

2011 წელს 66 ბენეფიციარის სამედიცინო სტაციონარულ უზრუნველყოფაზე შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებს აუნაზღაურდათ 51.3 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს 298 ბენეფიციარზე - 189.7 ათასი ლარი.

2011-2012 წლებში გადაუდებელი აუცილებლობით სამედიცინო მომსახურებაზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით, აგრეთვე მიღებული განცხადებების შემსწავლელი კომისიების მიერ შედგენილ დასკვნებში არ არის გაწერილი, თუ რა პროცედურები და მოქმედებები უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებისას. თეთრიწყაროს გამგეობის ყოფილი პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საკითხის შესწავლა ხდებოდა მხოლოდ ოჯახის ვიზუალური დათვალიერებით, ყოველგვარი დაწვრილებითი პრობლემის აღწერის გარეშე.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების გამოსაყოფად გამოიცემოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის ან საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დევნილი მოსახლეობის დახმარებაზე გახარჯულია 213.9 ათასი ლარი.

2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილ იქნა 60.2 ათასი ლარი დევნილი მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, კერძოდ, საყოფაცხოვრებო საკითხებისა და სურსათით უზრუნველყოფისათვის, რაც ათვისებულია სრულყოფილად.

აღნიშნული თანხიდან დევნილებისათვის შესყიდულ იქნა ხორბლის თესლი, ღირებულებით - 50.0 ათასი ლარი და სააღდგომო საჩუქრები - 10.2 ათასი ლარი.

2012 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დევნილი მოსახლეობის დასახმარებლად გახარჯულია 153.7 ათასი ლარი. მათ შორის:

- დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 55.9 ათას ლარი (დელეგირებული სოციალური პროექტი - დევნილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საკითხებისა და სურსათის უზრუნველყოფა). აღნიშნული თანხით დევნილებისათვის შესყიდულ იქნა ხორბლის თესლი.
- ადგილობრივი ბიუჯეტით იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამოყოფილი იქნა 97.8 ათასი ლარი სააღდგომო და საახალწლო საჩუქრების შესაძენად.

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შესყიდული სურსათი მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიღება-ჩაბარების აქტით გადასცა ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც აღნიშნული სურსათი დევნილებს გადასცა მიღება-ჩაბარების აქტით. შესყიდული სურსათი იძულებით გადაადგილებულ პირებზე გადაცემულია სრულად.

უფასო სასადილო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო კვება ითვალისწინებს ყოველდღიურ ერთჯერად უფასო კვებას, ბენეფიციართა (მარტოხელა პენსიონერები, მარჩენალდაკარგულები, მრავალშვილიანი ოჯახები, ინვალიდები) სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნებისათვის.

2011 წელს უფასო სასადილოში ბენეფიციართა მიღება ხდებოდა მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, რომლებსაც არეგისტრირებდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული. განცხადებების

საფუძველზე ხდებოდა აღნიშნულ პირთა სოციალური მდგომარეობის შესწავლა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რწმუნებული რეკომენდაციით შუამდგომლობდა გამგეობასთან.

2012 წელს ბენეფიციართა განცხადებების მიღება და შემდგომი შესწავლა ხდებოდა გამგეობის სოციალური სამსახურის მიერ.

გამოვლენილი გარემოება

2011-2012 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ბენეფიციართა უფასო კვებით უზრუნველყოფას ახორციელებდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ შექმნილი იურიდიული პირი[4], რომელიც მითითებულ პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიით დაფინანსდა 97.0 ათასი ლარით[5].

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 10 იანვრის №1/2 განკარგულებით დამტკიცებული „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის“ თანახმად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფაზე მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრა 58 კაცით.

შპს „მზრუნველობა მოკლებულთა სასადილომ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას წარუდგინა 2011 წლის ბიზნესგეგმა, სადაც გაანგარიშებული იყო 80 ბენეფიციარზე კვების ხარჯი, ღირებულებით - 27.5 ათასი ლარი, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება - 14.3 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯი - 0.9 ათასი ლარი, სატრანსპორტო (საწვავი) ხარჯი - 0.9 ათასი ლარი, საკანცელარიო ხარჯი - 0.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 0.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ კვების ხარჯი გაანგარიშებული იყო წლის განმავლობაში ყოველდღიური კვების მენიუს მიხედვით. აღნიშნულს ადასტურებს პასუხისმგებელი პირი წერილობითი განმარტებით.

[4] 2011 წელი შპს ,,მზრუნველობას მოკლებულთა სასადილო“; 2012 წელი - ა(ა)იპ ,,მზრუნველობას მოკლებულთა სასადილო“.
[5] 2011 წელი - 42.7 ათასი ლარი, 2012 წელი - 54.3 ათასი ლარი.

შპს „მზრუნველობა მოკლებულთა სასადილოს“ ბენეფიციართა ყოველდღიური დასწრება-გამოცხადების ჟურნალის ჩანაწერებითა და მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან სასადილოში მოხვედრის მსურველთა განცხადებების საფუძველზე, დადგინდა უფასო სასადილოთი მომსახურების მოსარგებლეთა ფაქტობრივი რაოდენობა თვეების მიხედვით, მთელი წლის მანძილზე. აღნიშნულით გამოვლინდა სხვაობები კვების ხარჯების გაანგარიშებისას ბენეფიციართა რაოდენობასა და ფაქტობრივად არსებულ ბენეფიციართა საშუალო რაოდენობას შორის.

თვე	ბენეფიციართა რაოდენობა გაანგარიშებისს მიხედვით	ბენეფიციართა ფაქტობრივი რაოდენობა	სხვაობა	საშუალო დღიური კვების ნორმა	დღეების რაოდენობა	ზედმეტად ანაზღაურებული თანხა
იანვარი	80	59	21	0.94	31	613.2
თებერვალი	80	57	23	0.94	28	606.6
მარტი	80	63	17	0.94	31	496.4
აპრილი	80	65	15	0.94	30	423.8
მაისი	80	67	13	0.94	31	379.6
ივნისი	80	70	10	0.94	30	282.6
ივლისი	80	70	10	0.94	31	292.0
აგვისტო	80	73	7	0.94	31	204.4
სექტემბერი	80	75	5	0.94	30	141.3
ოქტომბერი	80	76	4	0.94	31	116.8
ნოემბერი	80	80	0	0.94	30	0.0
დეკემბერი	80	80	0	0.94	31	0.0
სულ:						**3556.5**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 1 ბენეფიციარზე საშუალოდ კვების დღიური დანახარჯი განსაზღვრული იყო 0.94 ლარი. 80 ბენეფიციარზე გაანგარიშებით კვებით უზრუნველსაყოფად წლის განმავლობაში მიღებული დაფინანსება შეადგენდა 27.5 ათას ლარს, რაც შპს ,,მზრუნველობას მოკლებულთა სასადილოს“ მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯების საფუძველზე, გამგეობამ ეტაპობრივად

სრულად აანაზღაურა. ფაქტობრივად არსებულ ბენეფიციართა მიხედვით, კვების ღირებულება იქნებოდა 24.0 ათასი ლარი.

ამრიგად, 2011 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობამ შპს ,,მზრუნველობა მოკლებულთა სასადილო“ დააფინანსა „სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით“ დამტკიცებულ და ფაქტობრივად არსებულ უფასო კვებით მოსარგებლე ბენეფიციართა ზედმეტ რაოდენობაზე გაანგარიშებით, რომელმაც შეადგინა 3.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ბიუჯეტიდან, სავარაუდოდ, ზედმეტად არის გადახდილი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება

2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალურ პროგრამაში მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული იყო მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯები, მრავალშვილიანთა, აგრეთვე მოხუცებისა და ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარებები. დანარჩენი ერთჯერადი სოციალური დახმარებები გაიცემოდა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის მე-8 მუხლის საფუძველზე - გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევაში.

გამოვლენილი გარემოება

2011-2012 წლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მოსახლეობაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გაცემულია 89.0 ათასი ლარი. მათ შორის: 2011 წელს გაიცა 108 მოქალაქეზე - 11.4 ათასი ლარი, 2012 წელს კი 728 მოქალაქეზე - 77.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ ერთჯერად ფულად დახმარებებზე, გარდა დაკრძალვისა და ომის მონაწილეთა დახმარებებისა, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული თანხის გაცემის წესი.

2011-2012 წლებში მოქალაქის მიერ ერთჯერადი დახმარების მიღების შესახებ განცხადება შედიოდა სოციალურ სამსახურში. ერთჯერად ფულად დახმარებებზე მიღებული განცხადებების შემსწავლელი კომისიების მიერ შედგენილ დასკვნებში არ არის გაწერილი, თუ რა პროცედურები და მოქმედებები განხორციელდა საკითხის შესწავლისას. თეთრიწყაროს გამგეობის ყოფილი პასუხისმგებელი პირის განმარტებით ირკვევა, რომ საკითხს სწავლობდნენ მხოლოდ ოჯახის ვიზუალური დათვალიერებით, ყოველგვარი დაწვრილებითი პრობლემის აღწერის გარეშე. შემსწავლელი კომისიის დასკვნაზე დაყრდნობით, ერთჯერადი თანხის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდნენ გამგებლის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამგეობის არასათანადო შიდა კონტროლის მექანიზმების გამო, შესაძლებელია, ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემა ხორციელდებოდა ისეთ პირებზე, რომელთაც არ ეკუთვნოდა დახმარება.

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება

2011-2012 წლებში „სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის“ თანახმად, მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება გულისხმობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 5 და მეტ შვილიანი ოჯახების, თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე (16 წლამდე) ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემას, 1 ბავშვზე თვეში 10 ლარის ოდენობით.

მითითებულ პერიოდში აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 433 ბენეფიციარს, საერთო თანხით - 51.7 ათასი ლარი, კერძოდ:

- 2011 წელი - 220 ბენეფიციარზე გაცემულია 26.4 ათასი ლარი.
- 2012 წელი - 213 ბენეფიციარზე გაცემულია 25.3 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით აღნიშნული დახმარება გაყვანილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების მუხლში.

სარიტუალო ხარჯები

არსებული სოციალური პროგრამით სარიტუალო ხარჯების გაცემა გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალებისას - ერთჯერადად, არა უმეტეს 100 ლარისა, მეორე მსოფლიო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯები ანაზღაურდება - 250 ლარით, მათთან გათანაბრებული პირების (ავღანეთის ომის მონაწილეები) დაკრძალვის ხარჯები - 100 ლარით, გარდაცვლილი დევნილების სარიტუალო ხარჯები - 250 ლარით. გასაწევი ხარჯების ოდენობა განსაზღვრულია წლიური ბიუჯეტით.

2011 წელს სოციალურად დაუცველთა ოჯახების, ომის ვეტერანებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვაზე გაწეული ხარჯია 13.1 ათასი ლარი, აქედან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან ვეტერანთა დაკრძალვაზე ათვისებულია 1.5 ათასი ლარი, ხოლო იძულებით გადადგილებულ პირთა დაკრძალვაზე - 4.0 ათასი ლარი.

2012 წელს სოციალურად დაუცველთა ოჯახების, ომის ვეტერანებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვაზე გაწეული ხარჯია 12.9 ათასი ლარი, აქედან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან ვეტერანთა დაკრძალვაზე ათვისებულია 2.5 ათასი ლარი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვაზე - 3.2 ათასი ლარი.

ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ოჯახების ფულადი და ნატურალური ფორმით დახმარების გაცემა განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის გამგებლის ან საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

გამოვლენილი გარემოება

2011 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად 30 ბენეფიციარზე გაცემულია 8.8 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 30 ბენეფიციარზე 12.9 ათასი ლარი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული კონკრეტულად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლითაც დადასტურდება ომის მონაწილის სტატუსი და მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა. მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ყოფილი პასუხისმგებელი პირის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა და მათი ოჯახის წევრთა სიების დაზუსტება მოხდა ომის დამთავრების შემდგომ, ტერიტორიულ ორგანოს რწმუნებულებთან შეთანხმებით (მათ მონაცემებზე დაყრდნობით).

სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება

სტიქიის შედეგად (ქარი, ხანძარი) დაზარალებული მოქალაქეების დახმარება ხორციელდებოდა „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის“ მე-8 მუხლის საფუძველზე, რაც

გულისხმობდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევებს - სტიქიას, უბედურ და სხვა ფორსმაჟორულ შემთხვევებს. ნატურალური და ფულადი ფორმით დახმარებაზე 1000 ლარამდე გადაწყვეტილებას იღებდა გამგებელი, 1000 ლარს ზემოთ თანხაზე კი გადაწყვეტილებას იღებდა საკრებულოს თავმჯდომარე. 1000 ლარამდე დახმარებაზე განცხადებების შესწავლას ახდენდა გამგეობის სოციალური სამსახური და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, 1000 ლარს ზემოთ მოთხოვნის მქონე განცხადებებზე - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია.

სტიქიის შედეგად (ქარი, ხანძარი) დაზარალებულ მოქალაქეებზე მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით გაწეულია დახმარება ერთჯერადად, ფულადი დახმარების სახით:

2011 წელს გაცემულია 4.8 ათასი ლარი.

2012 წელს გაცემულია 14.0 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯი გაწეულია ქარისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მქონე მოსახლეობისათვის საკომპენსაციო თანხების გასაცემად.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების სოციალური დახმარების პროგრამებით გაწეული ხარჯები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტით“ და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების მიხედვით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორი:
გიორგი შურღაია

ხელმოწერა 14.11.2013ნ. თარიღი

აუდიტორ–ასისტენტი:
თეა უდესიანი

ხელმოწერა 14.11.13ნ. თარიღი

აუდიტორ–ასისტენტი:
ზურაბ ტუსკაძე

ხელმოწერა 14.11.2013ნ თარიღი